საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/1078
20/03/2024

1078-01-2-202403201130

ი/მ ვიქტორია კვინტრაძეს (ს/ნ 01017043788)
მის: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ლევან ღოღობერიძის ქ. N20
მის: ქ. თბილისი, აწყურის ქ. N67
ტელ.: 568 90 54 70

გაცნობებთ, რომ „მოქალაქე დ. ფ.-ის განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე“ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 12 მარტის №04/194 ბრძანების თანახმად, სააგენტომ დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - ი/მ ვიქტორია კვინტრაძის (ს/ნ 01017043788) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

დ. ფ.-ის განცხადების თანახმად, მან 2023 წლის 20 ნოემბერს ი/მ ვიქტორია კვინტრაძისგან (ს/ნ 01017043788) (Facebook გვერდი - „Trendy Closet - ონლაინ ბუტიკი“) შეიძინა ტანსაცმელი, რომელიც, განმცხადებლის მტკიცებით, მიიღო შეთანხმებული ვადის დარღვევით. ამასთან, მომხმარებელი განმარტავს, რომ მიმართა მოვაჭრეს ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნით, რაზეც მიიღო უარი.

გარდა ამისა, სააგენტოში შემოსულია ბ. ს.-ისა და თ. მ.-ის განცხადებები, რომლებიც ასევე შეეხება ი/მ ვიქტორია კვინტრაძის (ს/ნ 01017043788) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტებს. ორივე შემთხვევაში, განმცხადებლები განმარტავენ, რომ შეკვეთილი ნივთები დღემდე არ მიუღიათ.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს:
ა)ჰყავდეს წარმომადგენელი;

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
+995 598 05 44 22
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;
გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;
დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;
ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომ – პირობითი ვალდებულებები).

კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო განიხილავს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, შემთხვევაში სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

პროცედურის მე-17 მუხლის შესაბამისად, საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო წერილობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურების შესახებ;

ბ) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან **5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში** წარმოგვიდგინოთ პოზიცია ზემოხსენებული მომხმარებლების განცხადებებთან დაკავშირებით.

ამასთან, ამავე ვადაში, გთხოვთ წარმოგვიდგინოთ Facebook პლატფორმაზე თქვენს სარგებლობაში არსებული სავაჭრო გვერდების - „Trendy Closet - ონლაინ ბუტიკი“ და „Dressing Room Online - ტანსაცმლის ოთახი“ სავაჭრო პოლიტიკის (მომხმარებელთან ურთიერთობისთვის განკუთვნილი სტანდარტული წესებისა და პირობების ერთობლიობა) შესახებ შემდეგი ინფორმაცია (შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებებით):

- მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების წესისა და ფორმის თაობაზე;
- საქონლის დაბრუნების/შეცვლის წესისა და პირობების თაობაზე.
- კანონისმიერი გარანტიის თაობაზე.

დანართის სახით გიგზავნით დ. ფ.-ის, ბ. ს.-ისა და თ. მ.-ის განცხადებებს თანდართული მასალებით და სააგენტოს 2024 წლის 12 მარტის №04/194 ბრძანების ასლს.

დანართი: “77” ფურცელი.

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი